# ცნობის ფურცელი

I Ⴇ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 23 მაისი № 1472

...ფასი დირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ვრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო...ბაში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.



## სახალხო სეირნობა
### საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

...ველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული ...ო სეირნობა **საქველმოქმედო ბაზრითურთ** გაიმართება **25** და **26 მაისს**.
ნაცვლად **17** და **18** ივნისისა, როგორც წინად იყო გამოცხადებული.

ტფილისის ქერძო
**ამ ბ უ ლ ა ტ ო რ ი ა**
**მიხეილ გედევანიშვილისა.**
...ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,
დ ი ლ ი თ:
...ი. წიწინაძე—კბილის სნეულებანი 8—...სათამდე.
...ელ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და ...ბა ელექტრონით—9—10 ს.
...ა მუღინი ყრისა, ყელისა და ცხ... 11—12 საა დე.
...ბ. ახალშენიშვ...ი—კბილის სნეულებანი ...—12 საათამდე.
...ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.
...მი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.
...ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინა...—12—1 საათამდე.
...ბ. ფეოდოროვი შინაგანი და საბავშვო ...ს.
...დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო— $12^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
...დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და ...ესი— $1^1/_2$—2 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
...ნ. თუმანიშვილი—ქალთა სნეულებანი ...—6 საათამდე.
...ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ...ოვობანი) და ფიზიკო-ქიმიური გამოკვლე...—5—6 საათზე.
...მადლაშვილი—კვირაობით—10—12, ს.
...ბულატორიას აქვს საწოლი ოთახები.
...ი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპე...ი—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ...ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
...ესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ...შვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...ირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
**ს ა კ ე რ ა ვ ს:**
კაბების, წამოსასხამების, ჩაცვლების და საცვლეებზედ ნიშნების (მეტკების).
**ბარონის ქუჩა**, № 12 (10—3)

მ კ უ რ ნ ა ლ ი
**მიხეილ გედევანიშვილი**
ყორღანოვის ქუჩა, № 16.
ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. (10—6—8)


## მთავრობის განკარგულებანი

იმიერ კასპიის მხარის მსროლელთა მე-2 ბატალიონის საქმის მწარმოებელს კოლეჟსკი რეგისტრატორს კ ა ლ ა ტ ო ზ ი შ ვ ი ლ ს ებოძა გუბერნსკი სეკრეტრობა.

ბაქოს მე-153 პოლკის უნტერ-ოფიცერს ხ ო ს ი ტ ა შ ვ ი ლ ს ებოძა სათადარიგო ჯარის პრაპორშჩიკობა.

საზღვრის სადარაჯო კორპუსის განჯის ბრიგადის როტმისტრს სერაფიონ დ ა ვ ი დ ა შ ვ ი ლ ს ებოძა წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენი მახვილითა და ბანტით.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება.

გუშინ, 22 მაისს, ბანკის რწმუნებულთა საკმაო რიცხვმა თავი შეიყარა მხოლოდ შუადღის 12 საათზე. ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ უგანათ. თავადმა პ. ა. გრუზინსკიმ გახსნა კრება და სთხოვა დაესახელებინათ კანდიდატი რწმუნებულთა კრების თავმჯდომარედ. დასახელებულ იქმნენ თავ. ვ. მიქელაძე, უგ. თავ. პ. გრუზინსკი, მკურნალი გაბაშვილი და ი. გ. თულაშვილი; რადგანაც სხვა და სხვა მიზეზებისა გამო სამთავე პირველ მოხსენებულ პირთ უარი განაცხადეს, კენჭი უყარეს ბ-ნ თულაშვილს, რომელიც ამორჩეულ იქმნა 37 ხმით წინააღმდეგ 4 ხმისა. ვიდრე მორიგ საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ, თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა განსვენებულის თავ. რაფიელ ერისთავის ხსენებას. შემდეგ წაკითხულ იქმნა ბანკის გამგეობის მოხსენება 1900 წელში ბანკის მოქმედების შესახებ (დაახლოვებით ბანკის გამგეობის წასულ წელში მოქმედების შესახებ ამ დღეებში უკვე გვქონდა მოყვანილი ცნობები და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ). ანგარიშის შემდეგ წაიკითხეს აგრეთვე მოხსენება ბანკის გამგეობისა იმის შესახებ, რომ ამ წლის მოგებიდან იქმნეს გადადებული 20,000 მან. იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც გამოიწვია სარგებლიან ქაღალდების ბირჟაზე ფასის დაწევამ. საქმე იმაშია, რომ ბანკს ჰქონია პროცენტიანი ქაღალდები ნომინალურად 1.522.300 მ., ღირებულნი 1.483.293 მან. 59 კაპ., რომელთა ღირებულობა ბირჟაზე 1900 წლის 30 დეკემბერს გამოიხატა 1.378.571 მან. და 25 კაპ., ასე რომ განსხვავება გამოვიდა 104.722 მან. და 34 კაპ., რომელი ზარალიც ამ წლის სარგებლიდან უნდა დაიფაროს. როგორც გამგეობის მოხსენებიდან სჩანს, აღნიშნულ პროცენტიან ქაღალდებში ბანკს ჰქონია $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები ნომინალურად 302,800 მან. და ნამდვილად 271,349 მანეთისა, ხოლო ბირჟაზე 261.165 მან. ღირებულობისა. ამ განსხვავებიდანაც ზარალი უდრის 10.184 მან., რომელიც შედის მთელის ზარალის—104.722 მ. და 34 კაპ. რიცხვში. მაგრამ, გამგეობის აზრით, აღნიშნული გირავნობის ფურცლები შეიძლება 100 მან. გასაღდეს ბირჟაზე, ასე რომ მთელი ზარალი ბირჟის პირობებისაგან გამოწვეული გამოიხატება 63.087 მან. 34 კაპ. და რადგანაც მთლად ამ ფულების წრევანდელი სარგებლიდან ერთჟამიერად დაფარვა მეტად შეაფერხებს სათავად-აზნაურო სკოლის საქმეს, ამიტომ, გამგეობის აზრით, წელს გადადებულ იქმნეს 20,000 მან. და დანარჩენი ზარალი დაიფაროს შემდეგს წლებში. ბანკის ზედამხედველს კომიტეტს ანგარიში დაუმტკიცებია.

**თავმჯ. თულაშვილი.** გაქვთ რამე სათქმელი ანგარიშის შესახებ თუ არა?

**მკურ. გაბაშვილი.** ანგარიშში ნახსენებია ბაქოს საագენტოს 6,000 მან. ზარალი; შეგვატყობინეთ, ეს რა ზარალია?

**თავ. ი. ჭავჭავაძე.** ყოფილს აგენტს ბაქოსას უნდა შემოეტანა, არ გადაუხდია და ამიტომ მიღებულია, როგორც ზარალი.

**მკურ. გაბაშვილი.** ძალიან სამწუხაროა ის გარემოება, რომ გამგეობამ არ შეასრულა დაპირება, რომ თუ მეოთხე წევრი მიემატებოდა, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა იურის-კონსულტი, რის აუსრულებლობის გამო ყოველ წლობით 1200 მან. ვიხდით.

**მ. ამირაღოვი.** უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტად უხერხულს მდგომარეობაში ვართ ჩაყენებულნი: არაფერი მოსაზრება არ შეგვიძლიან წარმოვსთქვათ და ყოველივე იმის გამო, რომ დროზედ გამგეობისგან ანგარიში და მოხსენება არ მზადდება, რომ შეძლება გვქონდეს გავეცნოთო.

**უგანათლ. თან. პ. ა. გრუზინსკი.** ბანკის ანგარიში უკვე თავის დროზედ იყო დამზადებული და თუ თქვენ ვერ ისარგებლეთ, ეს ვისი ბრალია? ხოლო ზოგიერთ მოხსენების დაბეჭდვამ დაიგვიანა იმის გამო, რომ სადაც ისინი იბეჭდებოდნენ, ის სტამბა დაიხურა და ამან შეგვიშალა ხელი დროზედ დამზადებულიყო მოხსენებეო.

**ექ. გაბაშვილი.** მეორე კვირაც არის, ვიცი, რომ ანგარიში და მოხსენებანი არ იყვნენ მომზადებულნი და არ შეგვეძლო დროზე გვესარგებლა.

**უ. თ. მ. ა. გრუზინსკი.** კარგად მახსოვს ამ 12 დღის წინად ნება მივეცი ერთ რწმუნებულთაგანს წაეღო ანგარიში და თქვენ მაგას რათ ამბობთ?

(გაგრძელება იქნება)

## ფელეტონი

### ვინები დრამატიულ საზოგადოების მომავალ კრების გამო.

...დ დასრულებულ კეთილშობილთა კრებაზე საპატიო კითხვათა შორის ქართული თეატრის გამოც იყო სჯა-ბაასი. ამაზედ ...ე სიტყვა მინდა მოვახსენო ქართული თეატრის კეთილის მყოფელთ და იმის ...ებების მსურველთ. ჩვენ კეთილშობილებს სასახელოდ უნდა ვსთქვა, რომ მათ ...ადი მონაწილეობა მიიღეს თეატრის ...რეობაში... ჩვენმა თავად-აზნაურობამ თავის სასიქადულო მარშლის წინადადებით, გაითვალისწინა რა ... გამოირჩეული თეატრის ავ-კარგი, მისი შევიწროვება ...ლიარულად და დავალიანება, ერთხმად გადასწყვიტა თეატრს დახმარებოდა ...ოუჩინოს ვალის გადახდით და ...ოდი ფულის მიცემით. ამ გვარად ...მა ვალიც მოიშორა და ოთხმოცდა...უმანი შესაწევარიც მიიღო. განა რომ ...ი საქმე არ არის სამას-ოთხასი თუმანი დღეს ჩვენი თავად-აზნაურობისათვის.

ასე თუ ისე, ვალდებული იყო თავად-აზნაურობა, თავის თეატრს დახმარებოდა, თუ გულ-უხვობით მოუვიდა მისთვის შემწეობის აღმოჩენა, დღეს ჩვენი თეატრი ცოტად თუ ბევრად უზრუნველ ყოფილია წვრიმალი ხარჯების და ვალისაგან. ეხლა მას სჭირია ახალი ძალ-ღონით მართვა-გამგეობა.

დიდი ხანია დავრწმუნდით, რომ დღეს თეატრი შეადგენს ხალხისათვის ერთს უსაჭიროესს და აუცილებელ მოთხოვნილებას, წყურვილს. ხალხი მზად არის დაეხმაროს მას შეძლებისდაგვარად, ამას ცხადად ვხედავთ. შემდეგ ამისთანა მოვლენისა, თეატრის მოთავენი უნდა აფასებდნენ ამას თუ არა? განა რომ მათ საზოგადოების, ხალხის, ერის მინდობილება დიდის გულმოდგინებით და მტკიცედ უნდა აასრულონ! დიახ, დიდი ზნეობრივი ვალი აწევთ იმ რჩეულთ, რომელთაც საზოგადოება აბარებს თავის ძვირფას თეატრს, მის ბედ-იღბალს. მით უფრო წრფელი და თავგამოდებითი უნდა იყოს ამორჩეულ უანგარო მუშაკთა მოქმედება, რამდენადაც მათ საზოგადოება ენდობა, ვინაიდან აბარებს მას საქვეყნო საქმეს. და ეს ნდობა მთელი საზოგადოებისა, მგონია, ყოველგვარ სასყიდელზე უმაღლესი და უძვირფასესი უნდა იყოს! და აი თეატრის გამგეთ, ამ საზოგადოების რჩეულთ, რითი უნდა გარდაუხადონ საზოგადოებას და მოიგონ მისი გული მათდამი პატივისცემის ნაცვლად; ცოტად თუ ბევრად აღვნიშნოთ მათი სამუშაო თეატრის საქმეში.

გამგეობამ წარმოსადგენად განზრახული პიესები დიდის ყურადღებით, აწონ-დაწონით უნდა გაჩხრიკოს და შეისწავლოს და მერე ისე დართოს სცენაზე წარმოდგენის ნება და არა ჰკვებოს მინდობილი და გულკეთილი საზოგადოება ყოველგვარი შეუსაბამო, უფერული და უგემური „ნაწარმოებით“, რაც არა ერთხელ გვინახავს ჩვენს სცენაზე. ცოტა და იშვიათი იყოს და კარგი კი. თორემ აქაო და „ჩვენები“ არიან, არ გაგვწირავენ, არ გაგვკიცხავენ, რაც უნდა ვითამაშოთო! ეს ხომ გამოვიდა, რომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო! ერიჰააა! ასეთი მოსაზრება სად წაგვიყვანს! არ გაგვირისხდებიანო რა... სინიდისიც კაი საქონელია?

უნდა მიექციოს დიდი და სასტიკი ყურადღება მოთამაშეთაგან როლების გაზეპირებას... რამდენჯერ გულწრფელ საზოგადოებას მისდის და მოსდის ფერი, ალმური გადასდის და ცივ ოფლს ასხამს, როდესაც სცენაზე ჰხედავს სლოკინით, ენა დაბმით და ლუღლუღით მოლაპარაკე აქტიორებს—როლის უცოდინარობის გამო! მე ვამბობ, რომ ამ სენს სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს-მეთქი, იმიტომ რომ, თუმცა ჩვენს არტისტებს საზოგადოდ ნაკლებად აქვთ ჯამაგირი, კერძოდ ზოგიერთს (შედარებით) საკმარისზე მეტიც ეძლევათ, მაშასადამე იმათ საქმის მეტი მუყაითობაც უნდა მოეთხოვოს. როგორც ვიცით, სულ მცირე როლების მოთამაშეს თვეში არა ნაკლებ 25—30 მანეთისა აქვს ჯამაგირი. მერწმუნეთ, ეს ჯამაგირი ურიგო არ გახლავთ შრომასთან შედარებით! ამ ჯამაგირით რამდენი სოფლის მასწავლებელი ადგას თეატრზე არა ნაკლებ გზას—სახალხო განათლებისას და ეს მუშაკნი, სამი-ოთხი თვე გაივლის, ხან კიდევ მეტი, რომ ჯამაგირს ძლივს ეღირსებიან, მაშინ, როდესაც აქტიორები ყოველი თვის გასულს უკლებლივ

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისი.** წარსულ შაბათს ბრისტოლში მოხდა წლიური კრება «ირლანდიის შეერთებული ლიგისა»; კრებას დაესწრო 120 დელეგატი შეერთებული სამეფოს სხვა და სხვა ნაწილიდან. კრებამ ბევრი რეზოლიუცია დაადგინა, მაგალითად: ირლანდიის ჰომრულის (საკუთარი პარლამენტისა), სამხრეთის-აფრიკის ომის უსამართლობის შესახებ და სხვ. ამას გარდა კრებამ დაადგინა გულითადი მადლობა და თანაგრძნობა გამოუცხადოს გაზეთებს «ირიშ პიპლ»-ს და «სლიგო შამპიონ»-ს (ეს გაზეთები ამას წინად მთავრობის მიერ დაისაჯნენ) «მამაცი და პატრიოტული წინააღმდეგობისათვის, რომელიც მათ ინგლისის მთავრობას გაუწიეს. კრებამ «სლიგო შამპიონ»-ის რედაქტორი, რომელიც ამ ჟამად ციხეში ზის, პატივისცემის ნიშნად ლიგის ვიცე პრეზიდენტად აირჩია.

✿ «მანჩესტერ გვარდიან»-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ლორდ კიტჩენერსა და მთავრობას შუა დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. «პირველად ჰფიქრობდნენ, სწერს კორესპონდენტი, რომ ეს უთანხმოება იმ მოლაპარაკების თაობაზე მოუვიდათ, რომელიც ბოტასა და კიტჩენერს შუა იყო გამართული ზავის გამო. მაგრამ ეს უკვე წარსული საქმეა; მხოლოდ ეხლა, როგორც ჰფიქრობენ, უფრო დიდი მიზეზი აქვთ ერთმანეთის დასამდურებლადაო. მთავრობა მეტად გაკვირვებულია იმით, რომ ომს ბოლო აღარ ედება, სამაგიეროდ ლორდ კიტჩენერის მეგობრები ირწმუნებიან, რომ მთავრობა არ აძლევს მას ნებას თავისუფლად იმოქმედოს, ხოლო უამისოდ არ შეიძლება ომის სასურველად გათავებაო»:

✿ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამერიკელმა მილიონერმა კარნეჯიმ შოტლანდიის უნივერსიტეტებს 2 მილ. გირვ. სტერლ. შესწირა. ამის თაობაზე გაზ. «ტაიმს»-ს საინტერესო სტატისტიკური ცნობები მოჰყავს:

«შოტლანდიის ოთხივე უნივერსიტეტში 1899—1900 წელს სულ 5,339 სტუდენტი და 898 სტუდენტი ქალი სწავლობდნენ; მათ სწავლის ფული 55,632 გირ. სტერლ. შეიტანეს. კარნეჯის თანხამ წელიწადში 3% მეტი რომ არ მოიტანოს, მაინც მისი სარგებელი ყველა სტუდენტებს შეძლებას მისცემს უფასოდ ისწავლონ, და ამას გარდა ყოველ წელს კიდევ 4 ათასი გირ. სტერლ. მეტი დარჩებაო».

**საფრანგეთი.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, ვალდეკ-რუსოს ჰავრაში ფორთოხალი ესროლეს, რომელიც მინისტრ-პრეზიდენტის მეუღლეს მოხვდა. ფრანგული გაზეთები შემდეგს იწერებიან ამ ამბის თაობაზე:

«წასულ კვირას ვალდეკ-რუსსო პატარა გემ «რენე»-თი ჰავრში მოვიდა. ნავთ-სადგურთან ახლოდ ცნობის მოყვარე კაცი იდგა; ესენი პატივისცემით მიეგებნენ სამინისტროს მეთაურს. ვალდეკ-რუსსო თავის მეუღლით და მდივნით დია ეტლში ჩაჯდა. რაწამს ეტლი დაიძრა, მასთან მიირბინა ვიღაცა ახალგაზდა კაცმა, ასე 20 წლისა იქნებოდა, და დაიყვირა: «თქვენ შესყიდული ხართ; დუბეს გულისთვის აი ესე მოგივათ,» და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მინისტრ-პრეზიდენტს ფორთოხალი ესროლა; ფორთოხალი ქ-ბ. ვალდეკ-რუსსოს მარცხენა ლოყაში მოჰხვდა. ამის შემდეგ მსროლელი გაიქცა, მაგრამ პოლიციელმა დაიჭირა და პოლიციაში წაიყვანა. ამ პირმა გამოაცხადა, რომ მას ერნესტ პაროვე ჰქვიან და რომ ის ხელობით—მეპურეა. ჰკითხეს, რისათვის უნდოდა მას ვალდეკ-რუსსოსათვის ეწყენინებინა; პაროვემ უპასუხა: «მე პატრიოტი ვარ, ხოლო ვალდეკ-რუსსო-კი არა და ამის მეტი აღარცა რა თქვა რა. პაროვე ნაციონალისტური ახალგაზდობის ჯგუფს ეკუთვნის. ის ციხეში ჩასვეს.»

✿ დეპუტატთა პალატაში არის ერთი ნაციონალისტი-დეპუტატი, გვარად ლაზი. იმას ხშირად უცნაური წინადადება შეაქვს და მთელს პალატას აალაპარაკებს ხოლმე. ეხლაც წინადადება შეუტანია, რომ გამოვიკვლიოთ ყველა ის სიმდიდრე, რომელიც კი უპატიოსნო საშუალებითაა შეძენილიო». გაზეთ «ეკლერ»-ის თანამშრომლისათვის ლაზის შემდეგი უთქვამს ამ წინადადების შესახებ:

«ჩემმა წინადადებამ მეტად შეაშინა ზომიერი დეპუტატები, მაგრამ, სწორე გითხრათ, მე არ მესმის ეგ შიში. არიან პოლიტიკური ყაჩაღები, რომლებიც კანონების მფარველობით ჰმართავენ თავიანთ «ბედნიერ თარეშებს», როგორც ერუა-ბოლიემ (ფრანგი პოლიტიკო-ეკონომისტია) სთქვა. ეს თარეშობა ნამდვილი ქურდობაა და უსათუოდ უნდა გამოაშკარავდეს. აბა რა არის რეოლიუციონური ამ წინადადებაში; მას აზრად მხოლოდ ისა აქვს, რომ გამოაშკარავოს ის ბოროტ მოქმედნი, რომლებიც კანონიერად, კანონის მფარველობით ახერხებდნენ ქურდობას. ამ ვაჟბატონების მოქმედების მსხვერპლად ყოველთვის მშრომელი ხალხია ხოლმე და მაშასადამე ჩემი წინადადება მუშა ხალხის სასარგებლოდაა მიმართულიო».

**სამხრეთ აფრიკა.** თვით კონსერვატიული «ვესტმინსტერ გაზეთი» მკაცრად ჰკიცხავს ინგლისურ ოფიციალურ ცნობებს სამხრეთ-აფრიკის ომის შესახებ:

«ნაღდად ვრწმუნდებითო,—ამბობს გაზეთი,— რომ მთავრობა ბევრ ბრძოლების შესახებ სრულაც არაფერს არ იუწყება. ამ ბრძოლების ამბავს ჩვენ მხოლოდ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვიდან ვიგებთ. ამ სიების მიხედვით ჩვენი მდგომარეობა სამხრეთ-აფრიკაში უფრო ცუდია, სინამ ეს ოფიციალური ცნობებიდან გამოდის. ვიდრე მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი არ შემცირდება, გამარჯვებაზე ხმაც არ ამოგვედება. ომის ეხლანდელი ხანა მეტად მნიშვნელოვანია. ომი ან ზამთრის გასვლამდე უნდა გათავდეს, ან არა და ის კიდევ დიდხანს გაგრძელდება. იმედი ჰქონდათ, რომ ზამთრის განმავლობაში, სინამ ახალი ბალახი არ ამოვა, ბურები ხელს-ვერ გაჰქძრავენო, მაგრამ ეს იმედი არ ასრულდა. ბურები ყველგან მხნედ მოქმედებენ. კაპის ახალშენში რომ ახალმა დევეტმა—კრუტცინგერმა— საქმე გაუჭირა ჩვენ ჯარებს. ყველა ამ ზემო ნათქვამის მიხედვით ინგლისის ერს სრული უფლება აქვს მთავრობას უტყუარი და სწორე ანგარიში მოსთხოვოს ყველა იმ ამბების თაობაზე, რომელიც ამ უკანასკნელი ორი-სამი თვის განმავლობაში მოხდა სამხრეთ აფრიკაში.

✿ საზღვარ-გარეთელ ერთი გაზეთის კორესპონდენტს უნახავს ის ტყვე ბურები, რომლებიც ინგლისელებს კუნძულ ცეილონზე მიჰყავდათ. მათ შორის ბევრი უცხოელი ვოლონტიორია; არიან ირლანდიელები და ინგლისელებიც, რომლებიც აქრევე ტრანსვაალში დასახლებულან და იქაური მოქალაქეობა მიუღიათ. ინგლისის მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ რომ გაეგოთ, თუ როდის მიუღიათ ტრანსვაალის მოქალაქეობა ამ ირლანდიელებსა და ინგლისელებს, რათა მათ ისე მოექცნენ, როგორადაც აჯანყებულ ქვეშევრდომთ. მაგრამ ტყვე ბურებმა გადაჭრით უარი სთქვეს და არავითარი ცნობა არ მისცეს მოხელეებს თავიანთ ამხანაგების შესახებ. ამიტომ გაჯავრებული მოხელეები ყველა ტყვეებს დანიშნული საჭმლის ნახევარს და აძლევენ, ხოლო სადამოობით მათ სადგომებს სულ აღარ ანათებენ. ამნაირადვე მოექცნენ ერთ შვედსა, რომელმაც გემიდან გაქცევა დააპირა. ის დაიჭირეს და მთელი ოთხი დღე ცარიელი პურისა და წყლის მეტი არა მისცეს რა; შემდეგ გაატიტვლეს და უფროსის თვალ-წინ ხელ-ფეხი გაუკრეს. ტყვე ბურები საზოგადოთ ამაყად და თავმომწონედ იქცევიან. ისინი ეუბნებიან ინგლისელებს, რომ რაც უნდა ძლიერ ეცადოთ, მაინც ომი კიდევ რამდენსამე წელიწადს გასტანსო და რომ 300,000 ინგლისელი ჯარის კაცი ვერასოდეს ვერ აჯობებს 15,000 ბურსაო. ამასთანა სიტყვებით ბურები მეტად აჯავრებენ და აბრაზებენ ინგლისელებს.

**ავსტრ-უნგრეთი.** პოლონელთა კლუბის კრებაზე ერთ დეპუტატს «სამთა კავშირის» სასარგებლოდ ულაპარაკნია. მას, სხვათა შორის, უთქვამს შემდეგი: «თუმცა ყოველთვის, როცა კი პრუსიელ პოლონელთა გაჭირვებული მდგომარეობა მაგონდება,—სისხლი მემღვრევა, მაგრამ მით მაინც ამ მდგომარეობის შედარებაც კი არ შეიძლება იმ გაჭირებასთან, რომელშიც რუსეთის პოლონელები არიან ჩაცვივნულნი. ამიტომ ჩვენ ვერას ვიტყვით სამთა კავშირის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში ამ საგნის თაობაზე ჩვენ ვერას გადავწყვეტთ, სანამ რუსეთის პოლონელებს კარგად არ მოველაპარაკებითო.» ამის შემდეგ ბევრმა გავლენიანმა და მაღალ წარჩინებულმა პირმა ილაპარაკა და დასასრულ კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ «სამთა კავშირს» პოლონელები წინააღმდეგობას არ გაუწევენო. ამბობენ, რომ ამ კრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურ წრეებზედაო.»

ხოლო პოლონელ დემოკრატულ გაზეთებს სულაც არ მოსწონებიათ პოლონელთა [...]ბის ესეთი დადგენილება. «ნოვა რეფორმა» [...] გამო ამბობს: [...] დით, რომ პოლ[...] რატების გრძნობას და სამართლიან [...] დინეობას სრულებით ყურს არ უგდებენ. რწმუნდით, რომ ჩვენი არისტოკრატია [...] ჯაჭვითაა მიბმული მთავრობასა და სას[...] წრეებთან და ამიტომ ის ახმობს დემოკრ[...] ყოველ კეთილშობილურ აზრსა. ეს ხალხი [...] მელიც მხნედ იცავს ავსტრიის ცენტრ[...] ტურ პოლიტიკას, არჩევნების დროს ნა[...] დისტობას ჩემულობდნენ და პატრიოტი[...] ლაპარაკობდნენ. ამ პოლიტიკაში ყველა[...] შეჰნიშნავთ: სიცრუეს, ორპირობას, ეგო[...] და ყველაფერს, რაც გნებავთ, ხოლო ნამ[...] ნაციონალისტურ გრძნობებს კი ვერასოდე[...] შენიშნავთ.

## ახალი ამბავი

✦ ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის რ[...] წმუნებულთა კრების მეორე სხდომა დანი[...] ლია დღეს, დილით 10 საათზე. გუშინ[...] სხდომაზე კამათი ანგარიშის შესახებ [...] ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია მოკლე [...] ანის სესხის ფონდმა. დღევანდელ სხდ[...] ისევ ანგარიში შესახებ ექნებათ სჯა. [...] ბის ანგარიშის იხ. ზემოთ.

✦ ქუთაისიდან ჩამოვიდა კავკასიის მოსწავლო ოლქის გამგე ბ. ზავადსკი, [...] მელიც, როგორც ნამდვილ წყაროებ[...] შევიტყვეთ, დამტკიცებულია ხსენე[...] ოლქის მზრუნველად.

✦ დღეს მოხდება სხდომა ტფილ[...] გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებუ[...] ლო. საკრებულო განიხილავს, სხვათა შო[...] ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის უკან[...] მოქმედების საქმეს.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწე პოლკოვნიკი [...] ავინი.

✦ გუშინ და გუშინ წინ კავკასიის მოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამ[...] ბ. იანოვსკი გამოეთხოვა პირველ და მ[...] სავაჟო გიმნაზიას და 1-ლა მეორე საქ[...] ბო გიმნაზიებს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ თხოვა რკინის მოადგილეს ინჟენერ ბ[...] კანონიერი ვექილობა ტრამვაის უსახ[...] საზოგადოებისაგან; თუ ამ გვარი ვექი[...] არ ექნა ბ. ბლანშს, მაშინ ქალაქის გ[...] ობა ვერ იცნობს მას ხსენებულ საზოგ[...] ების წარმომადგენლად.

✦ ამ დღეებში ბრიუსელიდან მოე[...] ტრამვაის უსახელო საზოგადოების გ[...] ობის დირექტორს ინჟენ. რიდზინ[...] რომელიც გამოგზავნილია ტფილისშ[...] რობისა და ქალაქის გამგეობის შორის [...] ხილ უთანხმოებისა გამო.

---

[...]ილებენ დანიშნულ ჯამაგირს. ახლა შეადარეთ შრომა ერთისაც და მეორესიც! რა ბრძანებაა!... შედარება, მართალია, პირდაპირ ჩვენს საგანს არ შეეხება, მაგრამ იმიტომ მოგახსენეთ, რომ ჩვენ აქტიორებს ჯაფა-შრომა საკმაოდ უფასდებათ. რასაკვირველია, მე აქ სახეში არა მყავს ის ორიოდე ჩვენი არტისტი, ციურის ნიჭით დაჯილდოვებულნი, რომელნიც, ჭეშმარიტად, თავის მაღალი ნიჭის შესაფერ საფასურს ვერ იღებენ ჩვენი ხელმოკლეობისა გამო. იმათ თუმნობით კი არა, ოც და ორმოც თუმნობით უნდა ეძლეოდეთ, მაგრამ რა ვქნათ, რომ უნაფქროთ გახლავართ და კიდობანში კუტიც აღარ მოგვეძევება!

არა ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს გამგეობამ დაკანონებულ წეს-რიგს თეატრში დამსწრე საზოგადოების მიმართ: ადგილიდან ადგილზე გადახტომ-გადმოხტომა, თავაღებულად ხალხის მიხლა-მოხლა და საზოგადოების შეწუხება კარგი არ არის, მერწმუნეთ. მეტადრე წვრილფეხობის ფუნდრუკს და ჯირითს თეატრში სახტომი უნდა მოუშალოს. ამისათვის შესავალ-გასავალი კარები გამგეობის წევრებმა მარტო მოსამსახურე ბიჭების ანაბარად არ უნდა დასტოვონ და თითონ უნდა იქონიონ მათზე მორიგად სასტიკი ზედამხედველობა. მხოლოდ მაშინ თეატრში სასიამოვნოდ მოსულს საზოგადოებას გვერდებს აღარავინ არ დაანტვრევს. ახლა ავიდეთ სცენაზე.

რეპეტიციების დროს საჭიროა მორიგად გამგეობის ერთი წევრი მაინც ესწრებოდეს ხოლმე; ხოლო წარმოდგენის ღამეს რამდენიმე. წარმოდგენის დროს რეჟისორის დახმარება, წეს-რიგის დაცვა, არა-მოთამაშეთ კულისებიდგან განდევნა, უსაქმოთა ლაზღანდარობა და ღრიანცელის მოსპობა უნდა უსათუოდ იკისრონ გამგეობის წევრებმა. თორემ დღეს, წარმოდგენის დროს, ისე ივსება კულისები უცხო ხალხით, როგორც გინახავთ ქარვასლა ფომინობის კვირაში. აბა ეს სადაურია! მართალია, რეჟისორის საქმეში არ უნდა გაერიონ უცხო პირნი და არც ერევიან იქ, სადაც თეატრის საქმე გაჩარხულია და სათითაოდ განაწილებული ყველა თავის აღმასრულებელთა შორის; ჩვენი თეატრის საქმე კი გაჩარხული კიარა და... ოსური გუთანივით ღრიჭინ-ღრიჭინი გააქვს საბრალოს! შველა აი აქ უნდა.

ძალიან კარგს ინებებს გამგეობა, რომ ერთს ზნე-სენად გადაქცეულ მოვლენას ძირიანად აღმოფხვრიდეს. ეს ის არა სასურველი ჩვეულებაა (უფრო დაუდევრობა და საქმის აბუჩად აგდება), რომ წარმოდგენა იშვიათად დაიწყობა ხოლმე იმ საათზედ, რომელიც გამოცხადებულია. მერწმუნეთ, არც ეს გახლავთ კარგი, ეს გაცრუებული იმედი, რომ თავის დროზედ გათავდება წარმოდგენა, და უნუგეშო ლოდინი, რომ შენს დროზედ დაბრუნდები სახლში. ამ გვარი უყურადღებობა და გულ გრილობა თეატრის მეთაურებისა აფრთხობს საზოგადოებას: მეორეთ და შემდეგ დიდის შიშით მოდიან თეატრში—ვაი თუ კიდევ ღამე გაგვათეინონო! ეს არა სასურველი და დღემდის ხელშეუხებელი მოვლენა უნდა აღიხოცოს. ამასთანავე გულის შემაწუხებელია ანტრაქტების ხანგრძლივობა. ყველა ამის აცილება შეუძლებელია მარტო რეჟისორს დავაკისროთ. წარმოდგენას ბევრი იმისთანა რამ წვრიმალი ეპირვება, რომ მარტო ერთი კაცი (რეჟისორი) ვერაფერს ვერ გახდება. დეკორაციების დადგმა-[...]დების სარისტის მიცემა, ტანისამოსის რეკვიზიტის დამზადება, პარიკმახერის [...] დროზედ თეატრში ყოფნა და სხ.—ს[...]ლა ეს უნდა იყოს მზად რამდენიმე ს[...] წინად წარმოდგენის დაწყებამდის, გამ[...]ბის დაკანონებულ სამუდამო განკარგ[...]ბით რეჟისორთან შეთანხმებით. მაგ[...]თად, ყოველი სასცენო საჭიროება და[...] თამაშეთა სამოსელი წარმოდგენის [...] საღამოს ხუთ საათზედ, ყველაფერი [...] ალაგას დამზადებული უნდა იყოს. [...] მაშ არტისტები ექვსს საათზედ უთ[...] უნდა იყვნენ თავის ალაგას მზად[...] მხოლოდ ამ პირობების აღსრულებით იძლევა წარმოდგენის თავის დროზედ [...]წყება-გათავება და საუკუნო ანტრაქ[...] წუთებად შემოკლება. როგორც გაგ[...]ნია და ცხადათაცა სჩანს, თეატრის გ[...]ობას ამ გარემოებაზედაც ნაკლებად [...] ქრია.

დიდი ყურადღება უნდა მიექციოს [...]ტრის ქონების შენახვა-მოვლას, მე[...] გარდეროობისას, და ეს მოვალეობა აწვევს კისრად თეატრის გამგეობას;

✦ ამ ზაფხულს გზათა მინისტრის გან-[გ]ულებით შეუდგებიან გუდაუთისა და [ო]ჩამჩირის ნავთსადგურების გამოკვლევას [და] შესწავლას, რადგან განზრახვა აქვთ [ხსენ]ებულ ნავთსადგურების გადიდება და [მა]თ მოწყობა; განსაკუთრებით უნდა გა[მო]კვლიონ ოჩემჩირის ნავთ-სადგური, რად[გან] იგი უნდა შეიქნეს ტყვარჩელის ქვა[ნახშ]ირის გამზიდავი ნავთსადგური.

✦ პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდი[ლია] შემდეგი საყურადღებო განმარტება [სენა]ტისა: ბრალდებულს, რომელიც [საო]ლქო სასამართლომ გაამართლა, ხოლო [სა]სამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო, [ჩა]ეთვლება სასჯელის ვადაში ის დრო, რო[მელ]იც მან დაჰყო საპატიმროში საქმის გა[რჩე]ვის დროს.

✦ გასულ იანვრისა და თებერვლის გან[მავ]ლობაში ამიერ-კავკასიიდან გაუტანიათ [საზღ]ვარ-გარეთ 334-ათასი ფუთი სამანდი; [მათ შორ]ის: ბათუმის ნავთ-სადგურით—220-ათა[სი] ფუთი და ფოთისა—114 ათასი ფუთი.

✦ წელს რუსეთის საიმპერატორო სასა[ხლ]ის კაპელლასთან დაარსებულ სალოტბარო [ს]ასწავლებელში კურსი დაუსრულებია სულ [7] ყმაწვილს, რომელთაგან სამს საუკეთესოდ [და]უსრულებია სწავლა და მოწმობაც ლოტ[ბარ]ის ხარისხისა კარგი მიუღიათ. ამ სამ[თაგან] ერთი ჩვენი თანამემამულეც ქუთაისის [საკა]თედრო ტაძრის არქიდიაკონის აწ გარ[დაც]ვალებულის შარაბიძის შვილი—ნიკო[ლ]ოზ ი. შარაბიძე გამორჩევია. შარაბიძე ჯერ [ტფ]ილისის მუსიკალურ სასწავლებელში სწა[ვლ]ობდა და უკანასკნელის კლასიდან პე[ტე]რბურგში გადავიდა. ნიჭიერს ახალგაზდას [სუ]რვილი აქვს განაგრძოს სწავლა უმაღ[ლე]ს სამუსიკო სასწავლებელში, მაგრამ სა[ჭი]რო ხარჯის სახსარი არა აქვს. ამიტომ კარ[გი] იქნება, ჩვენი ქველ-მოქმედები ყურად[ღე]ბას მიაქცევენ ამ გარემოებას და შემწე[ობ]ას აღმოუჩენდნენ ნიჭიერს ყმაწვილს, [რა]თაც ერთს კაცს შემატებენ ჩვენ ქართულ [მ]უსიკოსთა მცირე გუნდს.

✦ 18 მაისს პეტერბურგიდან ტფილისში [და]ბრუნდა ტფილისის სასულიერო სემინა[რი]ის რექტორი არხიმანდრიტი სტეფანე.

✦ ქართულ სახალხო წარმოდგენების [მც]ირე ხნით შეწყვეტის შემდეგ, წარმოდგე[ნე]ბისა და სახალხო კითხვების მმართველი [კომის]ცია განაგრძობს ისევ ავჭალის სახალხო [კი]თხვათა სადგომში წარმოდგენების მარ[თვ]ას. ხვალ, 24 მაისს, სცენის მოყვარე[თა]გან წარმოდგენილი იქნება ა. ნ. ფურ[ცე]ლაძის ტრაგედია „ავაზაკები“. წარმოდ[გე]ნა დაიწყობა საღამოს 7½ საათზე.

✦ 24 მაისს დანიშნულია კრება ტფ. საბჭოს [...] კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს [გა]ნიხილოს ინჟ. ბრაილოვსკისა და ხატი[სი]ვის შუამდგომლობა შესახებ ტუნელის [გა]ყვანისა სოლოლაკის გორას ქვეშ.

✦ არტილერიის მთელი ბრიგადა კავკა-ვში წავიდა, საპიორები კი ლაგოდეხში.

✦ გუშინ ნატახტარის წყაროების გამოსაკვლევად წავიდნენ ბაქტერიოლოგი გოლოვკოვი, ექ. რაზამატი, პროვიზორი ერნო და მისი თანაშემწე ახუმოვი.

✦ 18 მაისს გათავდა ცხენების ბაზრობა; ბაზრობა მეტად სუსტი იყო, რადგან ცხენები თითქმის არავის მოურეკია.

✦ ორშაბათს შესდგა კრება ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბეჭდვითი სიტყვის პავილიონის გამართვა მომავალ გამოფენაზე. კრებას ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებულ პავილიონის გამართვა ვერ შესძლებს ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთობა. ამიტომ კრებამ მიანდო თ. გ. თუმანოვს სთხოვოს გამოფენის კომისარიატს, რათა დაუთმოს 40—50 კვ. საჟენი უმთავრესს პავილიონში ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას. აქვე უნდა იქმნეს მოთავსებული ბიურო რეპორტერებისა და სამკითხველო.

✦ ბათუმიდგან გვწერენ: „ამ მოკლე ხანში ბათუმის მახლობლად დაიწყებს მოქმედებას მეტად დიდი სპილენძის ქარხანა, რომელსაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ექმნება, რადგან საქმე მეტად ფართოდ უნდა მომართონ. მუშაობა უკვე დაწყებულია აგერ რამოდენიმე თვეა.

აი როგორაა საქმე: ერთმა ინგლისურმა სააქციონერო საზოგადოებამ ფეხი შემოდგა მურღულის ხეობაში, სადაც მან სოფ. ძონსუს მახლობლად აღმოაჩინა სპილენძის მადნები. ეს ადგილები ბათუმზედ დაშორებულია სამოცის ვერსით, სიმაღლე ადგილისა 4000 ფუტია, ზღვის პირიდან რომ ვიანგარიშოთ. გზა ქარხნისკენ ბათუმიდან მიდის ბორჩხაზედ და შემდეგ გადუხვევს მარჯვნივ მურღულის ხეობისაკენ და ავა ძონსუში. ამ ხანად იქ მუშაობს მხოლოდ 400 მუშა და შემდეგ მუშათა რიცხვი ავა 2000-მდე. მუშები ეროვნობით ქართველები, რუსები და ბერძნები არიან. იქაურნი მკვიდრნი ნაკლებად მისდევენ ამ გვარს მუშაობას.

სპილენძის სადნობად იქმნება აშენებული უზარმაზარი შენობა სადნობ-ქურებით. სპილენძს ახლაც საკმაოდ იღებენ, მაგრამ მუშაობა მაშინ გაძლიერდება, როცა მოთავებული იქნება ის უზარმაზარი ორმო, რომელსაც ახლა უკვე სთხრიან. მისი სიღრმე იქნება 300 საჟენი და სართულებივით ყოველ მხრით საშახტო კორრიდორები ექნება სპილენძის გამოსაღებად; განი ამ ორმოსი ექვს არშინამდეა.

დღეს, როგორც ზემოდ ვსთქვით, მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობაა. დგმენ შენობებს, მაშინებს, მუშათა სადგომებს და სთხრიან ამ მთავარ საშახტო ორმოს. ყოველივე მაშინა მოძრაობაში მოყვანილ იქნება ელექტრონული ძალით.

მუშათათვის ამხანაგობას აქვს თავისი საკუთარი დუქნები და გარეშეთ არავის აძლევენ იქ ვაჭრობის ნებას, რომ ძვირად არ ჰყიდონ სანოვაგე და სხვა საქონელი მუშათათვის.

დღე მუდამ ბათუმიდან ათი-თხუთმეტი დროგი იგზავნება ამ ადგილებისკენ ათასნაირ მასალებით და მოსაწყობ მაშინის ნაწილებით დატვირთული.

ამხანაგობა მეტად მდიდარია. მურღულის გარდა ბევრ სხვა ადგილებსაც აქვს სპილენძის სადნობი ქარხნები. ამ ხანად იგი მუშაობს „ფ. მ. მიტიევიჩის და ამხ.“ ფირმის სახელით და ამასთანავე პეტერბურგში მეცადინეობს თავის სახელზე აიღოს ნება მუშაობისა და თავისი ფირმა გამოაცხადოს. ეჭვი არ უნდა, ქარხანა, რომელშიაც მუშათა რიცხვი 2000-მდე იქნება, მეტად მნიშვნელოვანი იქნება ჩვენის კუთხისათვის და ღირს-საყურადღებო მუშა ხალხისათვის. როცა ქარხანა სრულიად მოეწყობა, მაშინ უფრო დაწვრილებულს ცნობებსაც მივაწვდენთ მკითხველს“.

✦ ამიერ კავკასიაში არსებული ახალშენები გერმანელთა ექვემდებარებიან პირდაპირ მიწად-მოქმედების სამინისტროს. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, მთავარმართებლის კანცელიარია ადგენს პროექტს, რომლის მიხედვით გერმანელთა ახალშენები უნდა დაემორჩილონ კავკასიის ადმინისტრაციას.

✦ განზრახვა აქვთ, მომავალ წლის იანვრიდან მიუმატონ რკინის-გზის ტეხნიკურ სასწავლებლების რიცხვს.

✦ გზათა სამინისტროს ინჟენერთა საბჭო განიხილავს შემოდგომაზედ საკითხს რკინის-გზის სადგურების მოხელეთა სამუშაო დღის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ საკანონ-მდებლო წესით.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის მთავრობამ ცირკულიარული მიწერილობა გაუგზავნა ყველა სადგურების უფროსებს და დაავალა რევიზორებს თვალყური ადევნონ, რომ სადგურების ბუფეტის პატრონებმა საჭმელ მაგიდაზე იქონიონ დაბეჭდილი ნიხრი სასმელ-საჭმელისა. რკინის გზის მთავრობა ავალებს სადგურების უფროსებსა და რევიზორებს, რომ თუ სადმე შეამჩნიონ, რომ ნიხრზე მეტს ახდევინებდნენ მგზავრებს, შეატყობინონ მას დამნაშავის კანონისამებრ დასასჯელად.

✦ გასულ კვირას თ. რ. ამირეჯიბს ამოაცალეს ჯიბიდან 140 მან. იმ დროს, როცა იგი ტრამვაის ვაგონში ჯდებოდა. ფულების დაკარგვა გაიგო თ. ამირეჯიბმა მხოლოდ მაშინ, როცა მუშტაიდის ბაღს მიუახლოვდა. ქურდობის მსხვერპლმა ეჭვი მიიტანა ერთ პირზედ, რომელიც თურმე მას არ შორდებოდა, როცა იგი ვაგონში ჯდებოდა. მუშტაიდიდან რომ ისევ ვაკზალზედ დაბრუნდა თ. ამირეჯიბი, ეს საეჭვო პირი იქვე დახვდა. პოლიციამ შეიპყრო იგი.

✦ ამ დღეებში ვინმე ქ-ბ. კ. შემდეგი [მო]ტყუების მსხვერპლი შეიქნა. ერთ ახალგაზდა კაცს ალბერტის სახელით უქირავებია კ-ს სადგომში ოთახი, რომელიც მის მოთხოვნილებისამებრ ავეჯეულითა და ხალიჩებით მოუწყვია. რამდენიმე დღის შემდეგ დიასახლისს დაუნახავს, რომ გაქირავებული ოთახი დაკეტილია და შიგ კი არავინ არის. პოლიციის საშუალებით გააღეს კარები და იქ იმათ არავინ და არაფერი დეხვდათ. ალბერტთან ერთად გაჰქრა ოთახის მოწყობილობაც. ამ დროს შემთხვევით მოსულა ვიღაც ს., რომელიც წინადაც დადიოდა თურმე ალბერტთან და იმის საშუალებით შეიპყრეს ახალგაზდა რაინდი.

# პროვინცია

**ბათუმი.** კომისიამ, რომელსაც უნდა გაეშინჯა მ ოიჯარადრისაგან გამართული ქუჩების ელექტრონით განათება, უკვე დაასრულა თვისი მუშაობა და იცნო ყოველივე წესიერად შესრულებულად. ასე რომ ქალაქს ჩაბარებული აქვს ყოველივე გამართულება და თუ ჯერ ელექტრონს სინათლე არ ამშვენებს ჩვენს ქუჩებს, ეგ იმიტომ, რომ მშვენიერი მთვარიანი დამეებია და არა ვითომ «სხვა მიზეზები,» როგორც აქაური გაზეთი აუწყებს თავის მკითხველებს.

თითო დამის განმავლობაში ქალაქის განათება ელექტრონით ითხოვს ხარჯს თორმეტ თუმნამდინ.

ჩვენი ბაღისა და ბულვარის საქმე კიდევ არ დამცხრალა. მთელი საქმე დაიბეჭდა, დაურიგდა ყველა ხმოსნებს და მომავალს სხდომაზედ, ე. ი. მაისის 28-ს, საბჭოს ექნება ხელ-ახლად ამის შესახებ სჯა-ბაასი და ახლა კი, გგონებ, უკანასკნელად.

ჭ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მიბოძოთ მადლობა მოვახსენო იმ პირებს, რომლებმაც კეთილ-ინებეს და დაეხმარენ რწმუნებულს ჩემდამი ძიმითის ერთკლასიან სკოლას: (დახმარება აღმოუჩინეს: უცნობმა—1897 წ. „კვალის“ გამოგზავნით, ლუკა ანდღულაძემ—8 მ. ღირებული ზარით და 11 მ. ფულით, (აჭარაში შეკრიბეს 1898—1899 წლებში) ნესტორ და პანტელიმონ გოგელიებმა და სილვან ორაგველიძემ—სასწავლო და სათამაშო ნივთებით, ღირებული 6 მ., კალისტრატე გოგუამ მთელი წლის „ჯეჯილი“-თ, ისიხო და კ. სამსონიებმა ფულით და წიგნებით. 1900 წელს განსვენებულმა ანდრო ანდღულაძემ ანდერძით დაუტოვა სკოლას 56 მ., რითაც სკოლა მოვაწყეთ. 1901 წელს გაზეთების გამოსაწერად ანტ. მელივა. გამოგვიგზავნა 2 მანეთი სილ. პატიეიშვილმა—2 მ. ქ. ბ. ქრისტიანა სამსონიამ 1 მ., კირილ. გეგენავამ 1 მ., ნოე გოგელიამ 1 მ., სისონ მელივა 1 მ., იოსებ პატიეიშვილი. 1 მ., ალ. მასხულიამ 1 მ., გიორგი ხარატიმ, კოწია სალიქვაძემ და ვლადიმერ ჯახუტაიშვილმა—ათ-ათი შაური, ხოლო დიომიდე სამსონიამ 20 კ. ამავე წელს „ჯეჯილის“ რედაქციამ გამოგვიგზავნა ისიხო სამსონიას ხელით 1897—1898 წლების „ჯეჯილი.“

ძიმითის ერთ-კლასიანი სკოლის მასწავლებელი

დ. ი. ერქომაიშვილი.

---

[...]ორს აქ არაფერი საქმე არა აქვს. იმისი [...]მეა ამორჩეული პიესის რიგიანად დად[გმა] და რეპეტიციების და წარმოდგენის [...]ოს დასის ხელმძღვანელობა; სხვა [არაფ]ერი მას მზა-მზარეული უნდა ჰქონ[დე]ს. გამგეობის მიერ, სამწუხაროდ, რო[გო]რც ვიცით, დღემდის არც ეს წეს-რიგი [და]ფილა ჩვენს თეატრში: უმეტეს ნაწი[ლა]დ, თითქმის ყოველთვის, ერთ კაცს [(რეჟ]ისორს) აწვა მთელი წარმოდგენის მა[რთ]ვა-გამგეობა, რაც ძალიან უხერხულია [და] თითქმის შეუძლებელი. რასაკვირველია, [ამ]გვარად დაყენებული საქმე თავის დღე[ში] ჯეროვან ნაყოფს ვერ მოიტანს.

გარდეროპი ხომ მთლად გამგეობის ხელ[ში] უნდა იყოს. გამგეობა თავის მხრივ მო[იწ]ვევს, რასაკვირველია, ჯამაგირით რიგი[ანს] და გაწვრთნილს გარდეროპის გამ[გეს], რომელსაც აუცილებლად მიაჩ[ნია] ერთ-ერთი თავის წევრის ზედამ[ხ]ედველობას. ამ[ნაი]რიგო არ იქნება გა[კვირვ]ებას მოვაგონოთ, რომ გარდეროპის მეთვალყურედ თეატრებში უმეტეს [ნაწ]ილად მოიწვევენ ხოლმე მკერვალ ქალს [ან] კაცს და ეს აუცილებელი საჭიროებაა, რადგანაც დიდი გასაჭირია—არამც თუ ჩვენი თეატრისათვის, თვით მდიდარი თეატრისათვისაც-კი, რომ ყოველი ახალი პიესისათვის ახალ-ახალი ტანისამოსი მოიპოვოს, მეტადრე ისტორიული. ამისათვის გარდეროპის გამგე (მკერვალი) მოთხოვნილებისამებრ ნახმარს ტანისამოსს გადააკეთ-გადმოაკეთებს, პირს უცვლის, თუ საჭიროა, მოთამაშის ტანზედ დაზლანდავს, დააუთოვებს და გამოიყვანს სცენაზედ. აი ამისთვის არის საჭირო მკერვალი გამგე. გარდა ამისა გარდეროპის გამგემ უმეტეს ნაწილად ზედ-მიწევნით იცის, ამა თუ იმ ცნობილ პიესაში მომქმედ პირებს როგორ უნდა ეცვათ და უთქმელადაც დაუმზადებს და ჩააცმევს კიდეც არტისტებს ტანისამოსს. ამისთანა გამგეს რეჟისორი დაუწერს: „სახვალიოდ მზად იყოს ამდენი გრაფის, ბარონის, მარკიზის, სერჟანტის და სხ. ტანისამოსი,“ ან კიდევ სახელდობრ ეტყვის: „მეფე ლირის“ ტანისამოსი, „კარდინალ რიშელიესი“, „კინისა“ და სხ. რასაკვირველია, ყველა ეს სამოსელი თავით-ფეხებამდის დამზადებული იქნება. როგორ არ არის ამისთანა საქმის მცოდნე პირი საჭირო ჩვენი არტისტებისთვის (ზოგიერთის), როდესაც ისინი უცხოელ პიესებში კაჭკაჭებივით აჭრელებულები გამოცვივიან ხოლმე სცენაზედ და გრაფებს ხშირად ქალაქელი ალაფების შარვლები აცვიათ და მარკიზებს კიდევ „შპაგის“ მაგიერ ყასბის მასათები ჰკიდიათ; ან კიდევ ვინმე ბარონს ბოტფორტების ნაცვლად ჩვენებური კინტოს საცვეთები!.. ამისთანა კაცი, ვიმეორებ, დიდად საჭიროა თეატრისათვის, თუ კი იმის დასაქირავებლად სუკი შესწევს თეატრს

როგორც გაგონილი გვაქვს, დღეს ჩვენი თეატრის გარდეროპი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია თურმე: ნივთები მიყრილ-მოყრილი და მტვერში გაგანგლული; ტანისამოსები დაჩრჩილულები და ობ-მოკიდებული... თუმცა შორით მაყურებლისათვის ეს დიდს განძს და საუნჯეს არ შეადგენს, მაგრამ ახლო რომ დავაკვირდეთ, ყველაფერს თავი თავს მოუყაროთ, მეტადრე წვრიმალს, და დავაფასოთ, სწორედ რომ ურიგო ფულს არ შეადგენს. ყველა ეს სამკაული, დრო გამოშვებით შეძენილი, საზოგადოების საკუთრებაა, და ასეთი უყურადღებობა საზოგადოების ინტერესების შესახებ და მისაგან (საზოგადოებისაგან) მინდობილი საქმის უგულოთ და დაუდევრობით წაყვანა თეატრის გამგეობის მიერ, სწორე მოგახსენოთ, ძალიან მოსაწონი არ გახლავთ!.. ეხლა მაინც ითავონ ამ დალოცვილებმა და ათი და ოცი წლით საზოგადოებისაგან შეძენილი თეატრის ქონება გარედ გამოიტანონ, გაამზეურონ, მტვერი და ვაივაგლახი გააცალონ, გაასუფთავონ და ისე მიალაგონ თავის ალაგს. თორემ, ჩემი დაუდევრობით და ზანტობით ჩრჩილმა და მტვერმა ტანისამოსი უნდა გამივერანოს და მე კი უსირცხვილოდ სხვას უნდა მივმართო: შენი ჭირიმე, ფული მომეცი, ახალი ტანისამოსი ვიყიდო მეთქი! ჩემი საკუთრება რომ იყოს, ჯანი გავარდეს, დაიკარგოს; მაგრამ საზოგადოებას რა პასუხი გავცე მონდობილი მისი ქონების დაღუპვის გამო ჩემის დაუდევრობით?.. არა, საზოგადო უანგარო მოღვაწეს, საზოგადოებისგან არჩეულს იმისი საქმის გამგედ არც ჰმართებს და არც შეშვენის ამავე საზოგადოების გაფუქსავატება...... sapienti sat..

Ianus biformis

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 მაისი.

**პეტერბურგი.** ჩამოვიდა შეერთებული შტატების სენატორი ინდიანი ბენრიჯი.

**მოსკოვი.** პოლიაკოვის სახლს ცეცხლი გაუჩნდა; დაიწვა ხუთი კაცი და 9 კაცი დაშავდა.

**ვაშინგტონი.** მხოლოდ გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი დასტოვებენ სადარაჯო რაზმებს პეკინსა და ზღვის შუა ადგილებში, რადგანაც შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადეს თავის ჯარის დატოვებაზე.

**ნიუ-იორკი.** ელჩი კონჯერი სანფრანცისკოდან მიდის ჩინეთში; როკგილი კი მალე დაბრუნდება ჩინეთიდან.

„ნიუ იორკ ჰერლდ“-ის სიტყვით, სენატორმა განმა უთხრა ერთს ჟურნალისტს, რომ ხმა, ვითომც მაკ-კინლეის უარი ეთქვას პროტექციონიზმზე, ტყუილია: მაკ-კინლეი წინანდებურად პროტექციონისტია.

**ჰონკონგი.** საფრანგეთს განზრახვა აქვს ივლისში შემოიერთოს ჩაინანი.

**ლონდონი.** გაზეთები იტყობინებიან, რომ შორნკლიფთან ბანაკში ჯარის კაცები აჯანყდნენ; საქმე მივიდა იქამდე, რომ შეტაკება მოხდა აჯანყებულთა და იმ რაზმს შორის, რომელსაც მიენდვა წესიერების აღდგენა. აჯანყებულებმა ჯერ თოფები დაუშინეს რაზმს, შემდეგ ხიშტებით დაერივნენ. ორი კაცი სადარაჯო რაზმიდან დაჭრილია; 10 დუბლინელი მსროლელი დატუსაღებულია.

**მადრიდი.** სენატის წევრებად იქნებიან: 163 ლიბერალი, 112 კონსერვატორი, 24 ტეტუანისტი, 10 დამოუკიდებელი, 4 დამოუკიდებელი ლიბერალი, 7 გამაზანისტი, 3 დემოკრატი, 2 კარლისტი, 2 რომერისტი, 2 რესპუბლიკელი, 2 ნაციონალისტი, 18 ეპისკოპოზი; 11 ადგილი თავისუფალი დარჩა.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაციის კომისიამ დაამტკიცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი და ამასთანავე მხურვალე მადლობა და ნდობა გამოუცხადა მინისტრს. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სამთა კავშირი შეურყევად განაგრძობს არსებობას. რუსეთთან ურთი-ერთობა მოხსენებაში აღიარებულია საყურადღებო და სასარგებლო მოვლენად.

**ლონდონი.** კიტჩენერი დეპეშით იტყობინება: „გამოირკვა ფლაკფონტეინთან ბრძოლაშიკიდევ ორი ოფიცერი იქმნა მოკლული და ერთიც უგზო უკვლოდ დაიკარგა.

**კაპშტადტი.** ზაზუტოსთა მხარეში დიდი ალელვებაა, რადგანაც იქ საქონლის ჭირი მძვინვარებს.

**იოკაჰამა.** კატსურამ შეადგინა სამინისტრო. სონნე—აოსუკე—გარეშე საქმეთა მინისტრი (დროებით), კიურა—კეიგო—იუსტიციის მინისტრი, კიკუმა—საერო განათლებისა. ხირატა-ტოსკე—მიწად მოქმედებისა, უტსუმ-ტადა კატსუ—შინაგან საქმეთა, იოშიკავა—გზებისა; სამხედრო მინისტრად დარჩა გენერალი კოდანო, საზღვაო მინისტრად—ადმირალი იამა მოტე.

**პეკინი.** მოკავშირეთა გენერლების კრებამ დაადგინა ივნისის განმავლობაში გადასცეს ჩინელ მანდარინებს ქალაქის მართვა-გამგეობა. ამ კვირაში პეკინიდან ყოველ დღე გაიგზავნება ოროლი საგანგებო მატარებელი ჯარებით.

**კაპშტადტი.** დღემდის 684 კაცი გახდა ავად შავი ჭირით; მათგან 318 გარდაიცვალა.

**ტიანძინი.** კვირა საღამოს ტაკუსთან მიმავალ გზაზე შეტაკება მოხდა: უელსის მსროლელთა ინგლისის პოლკის ჯარის კაცებმა ნება არ მისცეს საფრანგეთის ჯარის კაცებს შეკვივნულიყვნენ ერთს სახლში; ფრანგებმა ხიშტებით მოიგერეს ისინი და მერე ქვები დაუშინეს; ინგლისელებმა ჰაერში თოფები გაისროლეს. ამის შემდეგ გერმანელები მიეშველნენ ფრანგებს. ამნაირად შეგროვდა 200-ზე მეტი კაცი. ბოლოს ხუთმა ინგლისელმა თოფის სროლა დაიწყეს და მოჰკლეს ერთი ფრანგი, დასჭრეს 3; გარდა ამისა დაჭრილია ხუთი გერმანელი, 4 ინგლისელი და 1 იაპონელი. შეტაკებას ბოლო მოუღო ამ დროს მოსულმა გერმანელმა ოფიცერმა, რომელიც ამ დროს მოვიდა მძლავრის რაზმით.

**სიდნეი.** კორნუელის ჰერცოგის დაბადების დღეს აქარ ნავთ-სადგურში მდგომმა გემებმა, მათ შორის რუსეთის გემმა „გრომობოიმ“ ზარბაზნები დასცალეს. ჰერცოგმა და მისმა მეუღლემ რამდენჯერმე მადლობა გამოაცხადეს იმის გამო, რომ „გრომობოი“—ეს მშვენიერი წარმომადგენელი რუსეთის ფლოტისა—დაესწრო დღესასწაულს.

**პარიზი.** პალატა. ჩინეთის საქმეთა შესახებ კამათის დროს დეტურელი ამბობს, რომ ამერიკელები აღარ ჰფარავენ თავიანთ განზრახვას ევროპიელ ახალშენების დაპყრობის შესახებ; ამიტომ ამერიკელები უფრო საშიშონი არიან, ვიდრე ჩინელებიო. ორატორი კი თხოულობს შემდეგ, როდის დაბრუნდებიან ჩინეთიდან ჯარებიო. დელკასემ უპასუხა, ჯარების ერთი ნაწილი უკვე მოდის სამშობლოსაკენო, დანარჩენების დაბრუნება კი დამოკიდებულია ჩინეთის საკითხის საბოლოვო გარდაწყვეტაზეო; დაბრკოლება ჯერ კიდევ არის საზღაურის გარდახდის საქმეში. მინისტრი უმჯობესად სთვლის, რომ საზღაური უზრუნველჰყონ სავაჭრო ხელშეკრულობით. ამ შემთხვევაში ყველა სახელმწიფოები დაინტერესებული იქმნებოდნენ ჩინეთის დამოუკიდებლად არსებობაში. ჩინეთში ბაჟის მომატება მხოლოდ ჩინელთათვის იქმნება სამძიმო. ორატორი ათავებს სიტყვას მადლობის გამოცხადებით ჯარების მოქმედებისათვის ჩინეთში.

**პეკინი.** ვალდერზეე დღეს წავიდა აქედან; ამან გამოიწვია დიდი პარადი ყველა აქ მყოფ უცხოელ ჯარებისა; არტილერიამ დასცალა ზარბაზნები; სამუსიკო ხოროები უკრავდნენ ჰიმნებს. მთელმა დიპლომატიურმა კორპუსმა გააცილა ფელდ-მარშალი სადგურამდე. ვალდერზეე გაივლის ტაკუზე და წავა კობეში. პოდპოლკოვნიკი რაუხი აქ დარჩება ჯერ, რათა შემდეგ გააცილოს ბერლინში ჩინეთის პრინცი, რომელიც იქ მიდის იმპერატორისათვის მწუხარების გამოსაცხადებლად გერმანიის ელჩის მოკვლის გამო.

ელჩებმა აღძრეს კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენი წლის ვადა მისცენ ჩინეთს საზღაურის გადასახდელად.

**ბრიუსელი.** გამოცხადდა ტრანსვაალის საელჩოს მიერ მიღებული ცნობები პრეტორისთან მომხდარ ბრძოლის შესახებ, რომელშიაც ბეიერმა და ბრეიტენბახმა დაამარცხეს ინგლისელები, ტყვედ წაიყვანეს 600 კაცი და ხელთ იგდეს 6 ზარბაზანი. საელჩოს ცნობით, ბრძოლა მოხდა 12—20 მაისამდე, ამ დროს განმავლობაში ცხარედ იბრძოდნენ; პრეტორიაში კარგად ისმოდა ზარბაზნების სროლა, ნამეტნავად ზარტინგენის დასავლეთით, რუსტენბურგისა და ვატერვალის გზაზე და პრეტორიის აღმოსავლეთით, კალკვეველში. ტრანსვაალის საელჩოს ცნობაში დაწვრილებით მოთხრობილია მხოლოთ კალკვეველში მომხდარ ბრძოლის ამბავი. ამაზედ ნათქვამია შემდეგი: „ჯარის უფროსი ბრეიტენბოხი თითქმის უკვე დამარცხებული იყო, როდესაც ბრძოლის ველზედ გამოჩნდა გენერალი ბეიერი; მაშინ ინგლისელები დაამარცხეს. სხვა ბრძოლების შესახებ ჯერ ჩვენ არ მიგვიღია დაწვრილებით ცნობები; ვიცით მხოლოდ, რომ ბრძოლა მოხდა ზარტინგენის მახლობლად, სადაც ინგლისელები ბურებმა უკუ აქციეს“.

**კანეა.** პალატამ დაადგინა გამოუცხადოს სახელმწიფოებს თავისი სურვილი კრიტის კუნძულის საბერძნეთთან შეერთების შესახებ. შემდეგ პალატამ დაადგინა დაინიშნოს კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მთავრობის ადმინისტრატიულს მოღვაწეობას.

**ლონდონი.** ოფიციალურად უარჰყოფენ აქ გავრცელებულს ხმებს, ვითომც სამხედრო სამინისტროს არ გამოუცხადებია ყველა ცნობები, რომლებიც უკანასკნელ დროს მიიღო სამხრეთ აფრიკიდან. სამხედრო სამინისტრო ახლა ირწმუნება, რომ მან საყოველთაოდ გამოაცხადა ყველა ის ცნობები, რომლებიც კიტჩენერისაგან მოუვიდათ უკანასკნელ შეტაკებათა შესახებ.

**კაპშტადტი.** ქალაქს ვილოუმორს გუშინ თავს დაესხნენ ბურები შეპერსის წინამძღოლობით. ბურები უკუქცეულ იქმნენ. მათ მოუკლეს 2 კაცი, დაუჭრეს 3. ბურების მეორე რაზმი ფუშეს უფროსობით გუშინ ემუქრებოდა ჯენსტაუნს.

**ტიანძინი.** გუშინღამ აქ ტაკუს ქუჩაზე, რომელსაც ცუდი სახელი აქვს დავარდნილი, ინგლისელ პოლიციელთა და საფრანგეთის ჯარის კაცთა შორის შეტაკება მოხდა. უკანასკნელები ხიშტებით დაერივნენ ინგლისელებს და შემდეგ ქვები დაუშინეს. ინგლისელებმა თოფები დასცალეს; ინგლისელთ მიეშველა გერმანელთა პოლიცია. ფრანგებს მიეშველნენ იაპონელები და რამდენიმე გერმანელი ჯარის კაცი; შეიქმნა საერთო ჩხუბი, რომლის დროს, როგორც ამბობენ, მოკლულ იქმნა ერთი ფრანგი და დაჭრილ იქმნა 10 ჯარის კაცი; ჯერ-ჯერობით დაწვრილებითი ამბები არ მოსულა. თავს დაესხნენ აგრეთვე იაპონელთა პოლიციის დარაჯს.

**პეტერბურგი.** 21 მაისს გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი გენ.-ადიუტანტი სტიურლერი.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) სათოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

**ტფილისიდან** ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); სათოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

**ტფილისიდან** ყარსისაკენ: სათოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ტფილისიდან** ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

**ქუთაისიდან** ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

**ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) სათოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ, ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 1901 წლის 24 მაისს, 12 საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა ავლაბრის აგარაკზე მდებარე ქალაქის მიწის, ზომით 23 დესეტინის, იჯარით გაცემისა—მხოლოდ გასამუშაოდ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიან გაეცნონ პირობებს გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების შემდეგ, 9-დან 3 საათამდე. ვაჭრობის დაწყებამდე უნდა იქმნეს წარმოდგენილი გირაოთ 100 მანეთი. (3—6.—3)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ იგი აგირავებს ბოჯომში ორსართულიან ავეჯით მოწყობილ სააგარაკო სახლს, რომელიც წინად ი. აბესალომოვს ეკუთვნოდა და ეხლა ქალაქისაა. სახლის ზემო სართულში ოთხი ოთახია და ქვეოში ხუთი. გაქირავების პირობების გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (3—6.—3)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით წლის 28 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 42.000 საჟენიან ბეტონის წყლის სადენ მილის გაკეთებისა არსებულ მილიდან მთაწმინდის ქუჩაზე ზაალიშვილის სახლამდე მეჟევაიას ქუჩაზე. საქმე ღირს 1002 მან.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა, შეუძლია გაეცნოს პირობებს ქალაქის გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ საქმე დღე 9 საათიდან 3 ამდე. (6. 3—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით 28 მაისს, შუადღის 1 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 3200 საჟენიან ბეტონის წყლის სადენ მილის გაკეთებისა ველიკო-კნიაჟესკის ქუჩაზედ არსებულიდან მიხაილოვის ქუჩის მოსახვევამდე; საქმე ღირს 750 მ.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია გაეცნოს პირობებს გამგეობის მესამე განყოფილებაში 9-იდან 3 სათამდე. (3—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით შუადღის 1 საათზე, 28 მაისს, მოხდება საჯარო ვაჭრობა 105,000 საჟენიან ბეტონის წყლის სადენ მილის გაკეთებისა მილიუტინის ქუჩაზე არსებულიდან ხითაროვის სახლამდე ნიკოლაევის ქუჩაზე. საქმე ღირს 1950 მანეთი.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან გაეცნოს გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ საქმე დღე 9-დან 3 საათამდე. (6. 3—1)

სალდათის ბაზარში იყიდება საუკეთესო ღირსების და ბევრათ სხვაზე უფრო იაფად

გაცხავებული და მშრალი ნახშირი

წონით ფუთი 40 კ. ვისაც ნებავთ გამოგზავნონ თავიანთი ადრესი და სახლში მიუტანთ ჩვენი ხარჯით. ამასთანავე ვთხოვთ მყიდველთ ნახშირის მომტანს მოსთხოვონ ბარათი.

(6—84—4) დ. ხუნდაძე.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Мая, 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.